მიქელანჯელო თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში

მოამზადა თათია ბარბაქაძემ

(ნაწილი II)

გაეცანით მატიას ენარის ნოველიდან, "ესაუბრე ბრძოლებზე, მეფეებსა და სპილოებზე", ნაწყვეტს. ნაწარმოები ნაწილობრივ დოკუმენტური ხასიათისაა. ნოველაში გამოყენებულია მიქელანჯელოს წერილები ძმის მიმართ მიწერილი. თუმცა ტექსტის ძირითადი ნაწილი დაფუძნებულია მწერლის ინტერპრეტაციაზე მიქელანჯელოს სულთნის კარზე მიწვევისა და სტამბოლში მოგზაურობის შესახებ. არსებობს ოფიციალური წერილი, რომელშიც სულთანი ბაიაზიდ II მოქანდაკეს თავისთან იწვევს, მაგრამ დადასტურებული წყარო, მიქელანჯელოს სტამბოლში ჩასვლისა, დღემდე არ არის მიკვლეული. სულთნის მიწვევა ყურეზე ("ოქროს რქაზე") გრანდიოზული ხიდის მშენებლობას ეხებოდა. ნაწყვეტში მწერლის მიერ ინტერპრეტირებულია ხიდზე მუშაობის შემოქმედებითი პროცესი.

"ყველაფერი პროპორციებით იწყება. ხუროთმოძღვრება წონასწორობის ხელოვნებაა. როგორც ადამიანის სხეული იმართება ზუსტი კანონებით (კიდურების სიგრძე, კუნთების განლაგება), ისე შენობა ემორჩილება წესებს, რომლებიც მის ჰარმონიას განაპირობებენ. ფასადის სრულყოფილების გასაღები სწორი დაგეგმვაა, ტაძრის სილამაზეს ელემენტების შერწყმა, მათი წესრიგი განსაზღვრავს. ხიდი თაღების, კამარების მონაცვლეობა, ბურჯებისა და მალების მოხდენილობაა. ცხადია, მნიშვნელოვანია შუალედური ნიშები, ორნამენტები, მაგრამ ძირითად სათქმელს მაინც თაღებისა და ბურჯების კავშირი ამბობს.

მიქელანჯელოს იდეები არ აქვს.

ეს ქმნილება, "დავითისა" და "პიეტას" მსგავსად, უნიკალური უნდა იყოს, მშვენიერების მწვერვალად, შედევრად უნდა იქცეს.

პირველი ესკიზების შექმნისას სულ ლეონარდო და ვინჩიზე ფიქრობს. ისინი ისე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, თითქოს ასწლეულებით დაშორებულ ეპოქებში ცხოვრობდნენ.

მიქელანჯელო სამუშაო მაგიდასთან ბუზებს ითვლის. ხიდს ჯერჯერობით ვერ ხედავს. დეტალებში იძირება. ხუროთმოძღვრებაში გამოცდილება თითქმის არ აქვს - იულიუსის საფლავის ესკიზები მისი ერთადერთი არქიტექტურული ნამუშევარია. ნეტა სანგალო ჰყავდეს გვერდით. ნანობს, რომ გამოწვევა მიიღო. ღელავს. დიდ საფრთხეში ჩაიგდო თავი. მის ადგილსამყოფელს შეიტყობენ და მოაგნებენ. წამითაც არ ეპარება ეჭვი, რომ პაპის რკინის ხელი ან რომაელთა საბედისწერო შეთქმულებები ნებისმიერ ადგილას მოსწვდება.

გიგანტური ხიდი ორ ციხესიმაგრეს შორის.

გამაგრებული ხიდი.

მიქელანჯელომ იცის, რომ შთაგონება ხატვისას ეწვევა. დაუღალავად გამოჰყავს ფორმები, ხატავს თაღებსა და ბურჯებს.

ციხესიმაგრესა და სანაპიროს შორის მცირე მანძილია.

აგონდება შუა საუკუნეებში აშენებული ფლორენციის ძველი, ვიწრო ხიდი - ნამდვილი ქონგურიანი ბაყაყი, რომელიც ლეშის სუნად აყროლებული საყასბოებითაა სავსე. არც მდინარის ბრწყინვალებას უსვამს ხაზს, არც - ქალაქის სიდიადეს. ახსენდება, როგორ ჩაედინება ღარებიდან არნოში დაკლული ცხოველების სისხლი. ყოველთვის სძულდა ეს ხიდი.

ისევ შეაშინა შეკვეთის მასშტაბმა.

და ვინჩის ნახატი თავიდან ვერ ამოიგდო. თავბრუდამხვევად შთამბეჭდავია, თუმცა კი - მცდარი. ცარიელი. უსიცოცხლო. ლეონარდომ არქიმედედ მიიჩნია თავი და სილამაზე დაივიწყა. სილამაზე ძველი ფორმების მიტოვებასა და საეჭვო აწმყოში თავით გადაშვებას ნიშნავს. მიქელანჯელო ინჟინერი არ არის. აქ იმისთვის მოიწვიეს, რომ მასალისგან ახალი ფორმა დაბადოს, ნათლად გამოიკვეთოს, თვალსაჩინოდ გამოჩნდეს.

თუმცა რა მასალისაა ეს ქალაქი და რომელი იარაღით უნდა შეუტიოს, ჯერ ვერ გაურკვევია[1]".

გამოყენებული ლიტერატურა: მატიას ენარი, "ესაუბრე ბრძოლებზე, მეფეებსა და სპილოებზე", გამომცემლობა "დიოგენე", 2017 წ.

[1] მატიას ენარი, "ესაუბრე ბრძოლებზე, მეფეებსა და სპილოებზე" გვ. 53